ოქმი:**ო08. 3724114001**

თარიღი:**23/04/2024**

ოქმი № 8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2024 წელი, 22 აპრილი
ქ.ოზურგეთი
11.00 -11.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი, ნ. ურუშაძე, გ. კილაძე, ბ. კილაძე, დ. დარჩია, ალ. ღლონტი, გ. შილაკაძე, თ. ტუღუში, ვ. ნიჟარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.
მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.
მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის პირველ საკითხზე, ხოლო კომისიის წევრებს საპრივატიზაციო ობიექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია გააცნო თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას პროექტი წარედგინოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის(საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების) მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ ეს საკითხი გამომდინარეობს პირველი საკითხიდან, თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ განაცხადა, რომ ქონება შეფასებულია და გასხვისება მოხდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას პროექტი წარედგინოს ბიუროსა და სკრებულოს სხდომას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის(საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების) მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის მესამე საკითხზე, თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ განაცხადა, რომ საკითხი ეხება ყოფილი სამხედრო კომისარიატის შენობის თავდაცვის სამინისტროსათვის დროებით სარგებლობაში გადაცემას. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას პროექტი წარედგინოს ბიუროსა და სკრებულოს სხდომას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე, კონკრეტული ინფორმაცია-შემოქმედის ეპარქიისათვის მეორადი ქვის ფილების უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას პროექტი წარედგინოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე, ვრცელი ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას პროექტი წარედგინოს ბიუროსა და სკრებულოს სხდომას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ მოკლედვ ისაუბრა დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე, ვრცელი ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას პროექტი წარედგინოს ბიუროსა და სკრებულოს სხდომას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ექვსივე საკითხი წარდგენილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის, მათ შორის N 1,2 საკითხი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი